# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 დეკემბერი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 247 (10 166) ● ფასი 3 კაპ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## „ნადდი" ჩემპიონატის მოლოდინში

შაბათს, ვარკეთილის სტადიონზე, ცივსა და ნისლიან ამინდში გაიმართა საქართველოს 22-ე ჩემპიონატის დასკვნითი სამი შეხვედრა, რომლებმაც ექვსივე მონაწილეს სიძლიერის განმსაზღვრელ ნუსხაში თავ-თავისი ადგილი მიუჩინა.

**მატჩი მეხუთე ადგილისათვის. ხპი (თბილისი) — „სამთოელი" (ქიათურა) 39:14 (21:0).** შეჯიბრების ბოლოს უვარჯიშებელ ჭიათურელებს თავისი დაემართათ: რაკილა საპრიზო ადგილის დაკავების შესაძლებლობა დაკარგეს, გადაღლილებს მთლად გაუქრათ თამაშის ხალისი და პირველი ტაიმიც პირწმინდად წააგეს პოლიტექნიკოსებთან, რომლებმაც, თავიანთი მხრივ, წინა შეხვედრებში გულდასაწყვეტი წაგებების შემდეგ, ამჯერად გული იჯერეს თამაშითა და ბურთით ნავარდით. „სამთოელი" მხოლოდ მას შემდეგ გაფიცხდა, ანგარიშში სხვაობამ 27 ქულას რომ მიაღწია და დარჩენილ დროში, ორმხრივი შეცდომებით აღსავსე თამაშში, რამდენიმე მაინც აღიდგინა შელახული თავმოყვარეობა.

**მატჩი მესამე ადგილისთვის. „შევარდენი" (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 21:6 (8:6).** თამაში პარადოქსულად წარიმართა. პირველი 20 წუთის მანძილზე იმდენად დიდი იყო „შევარდენის" უპირატესობა, რომ საკუთარ 22-მეტრიან მოედანში „გამომწყვდეული" უნივერსიტეტი ძლივსძლივობით იცავდა თავს. შემდეგ თსუ-მ, როგორც იქნა, გადააღწია „შევარდენის" ნახევარზე, მეტოქე აიძულა, ზედახორაში თამაშდაროთ დარჩენილიყო და ახობაძემაც ზუსტად დაარტყა საჯარიმო — 3:0. „შევარდენმა" განაახლა იერიშები და ხუთი წუთის შუალედით თისმა მეცამარბეებმა ორი ლელო გაიტანეს, მაგრამ შესვენებამდე თსუ კიდევ ერთხელ გადასცდა მოედნის შუა ხაზს და ახობაძემ კვლავ შეაგდო საჯარიმო, ამჯერად 40 მეტრიდან — 6:8. შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდა და უფრო მიმზიდველი გახდა. 54-ე წუთზე შევარდენელმა ძნელაძემ საჯარიმოდან 5 ქულით დააწინაურა გუნდი, რასაც უნივერსიტეტელებმა იერიშებით უპასუხეს. იმავე ახობაძის გარღვევას ის მოჰყვა, რომ თსუ-ს მორკინალთა წინსვლა ზედ კარის ხაზთან „შევარდენმა" მოლში ატეხილი მუშტიკრივით შეაჩერა, რაც ორი ჩხუბისთავის — დვალისა და სორდიას გაძევებით დამთავრდა. თამაშის ბოლომდე მთელი 20 წუთი რჩებოდა, „შევარდენის" 13 მოთამაშე კი 15 უნივერსიტეტელს უნდა გამკლავებოდა. მაგრამ აქ თსუ-ს გუნდი ამჩატდა, მთლად აებნა თავგზა. ეგონა, რომ რიცხვნაკლულ მეტოქეს ერთიანად „გადათელავდა" და ამტომაც საგოლე საჯარიმოები სამჯერ გაითამაშა, თანაც — უხეიროდ. ამგვარ სულსწრაფობას და შეცდომებს „შევარდენი", ცხადია, დაუსჯელს არ დატოვებდა. მართლაც, დარჩენილ დროში ძნელაძემ და ჩაჩანიძემ კიდევ ორი ლელო გაიტანეს და მეტოქეები პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს.

**მთავარი ფინალი. „აიხი" (ქუთაისი) — ზოოვეტერინარული ინსტიტუტი (თბილისი) 15:6 (6:0).** თამაშმა ღირსეულად დააგვირგვინა ჩემპიონატი, თუმცა სრულფასოვანი ლელო ვერც ერთმა მეტოქემ ვე...

ის. მე-4 გვ.



**ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს 1989 წლის ჩემპიონი რაგბიში ქუთაისის „აიხი" (მარჯვნიდან პირველი დგას გუნდის მოთამაშე უფროსი მწვრთნელი ალეკო ნიქაბაძე).**

---

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში ქალთა შორის ● I ლიგა

## პირველი ნახევრის შემდეგ

**როგორც** გაცნობეთ, თბილისში, ლენინის სახელობის დარბაზში გაიმართა პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩები, „ბურევესტნიკი" მასპინძლობდა როსტოვის „კრასნი აკსაის".

პირველ შეხვედრაში მასპინძელთა გუნდი ერთგვარად შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა — არ თამაშობდა თბილისელთა ერთ-ერთი ლიდერი მედეა მხეიძე, რის გამოც ჩვენს მეორე ცენტრალურ თავდამსხმელს, ვერაკოზლოვას ორმაგი დატვირთვით მოუხდა თამაში.

„ბურევესტნიკის" კალათბურთელები თავიდანვე დაწინაურდნენ, თუმცა თამაშის პირველი ნახევრის ბოლოსთვის ინიციატივა სტუმრებს დაუთმეს და ანგარიშის სხვაობაც მინიმუმამდე შემცირდა — 41:40. შესვენების შემდეგ იგივე განმეორდა, ისევ ჩვენი გუნდის შეტევებით დაიწყო თამაში, ანგარიშის სხვაობაც მათ სასარგებლოდ გაიზარდა და 11 ქულას მიაღწია. როსტოველთა გუნდი შეხვედრის ბოლოს გააქტიურდა, მაგრამ ჩვენმა გოგონებმა თამაში მაინც გამარჯვებამდე მიიყვანეს — 78:73.

მეორე დღესაც მაყურებელი დაძაბულ ბრძოლას მოელოდა, თუმცა იმედები არ „გაუმართლდა", მასპინძლებმა თამაშის დასაწყისშივე მოიპოვეს უპირატესობა — მეოთხე წუთზე ანგარიში უკვე 10:0 იყო. ამ დღეს თბილისელებმა ყველაფერში იმარჯვეს. შორი და საშუალო მანძილიდან სროლაში, ფარქვეშ და, რაც მთავარია, დაცვაში უშეცდომოდ თამაშში... როცა გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ტაბლოზე 54:30 ენთო.

„ბურევესტნიკს". შესვენების შემდეგაც არ შეუწყვეტია იერიშები და ანგარიშში სხვაობამ 30 ქულას მიაღწია. ჩვენი კალათბურთელების გამარჯვება უკვე ეჭვს აღარ იწვევდა, მათ თავიანთ ნება-სურვილზე მიჰყავდათ მატჩი, ამიტომ მეორე ტაიმის მე-15 წუთიდან თბილისელთა მწვრთნელებმა ძირითად მოთამაშეებს დასვენების საშუალება მისცეს და მოედანზე ერთბაშად სამი დებიუტანტი გამოიყვანეს...

არის ისეთი შეხვედრები, როდესაც ანგარიში ვერ გამოხატავს იმ უპირატესობას, რომელიც ერთ-ერთ გუნდს ჰქონდა. ამჯერადაც ასე იყო. ჩვენმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს — 92:78.

მასპინძელთაგან ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები პირველ დღეს იყვნენ ვერა კოზლოვა (26 ქულა) და ნინო სირაძე (20), მეორე დღეს — ისევ ნინო სირაძე (30 ქულა) და ნატო ლორია (20), საერთოდ, ყველა კალათბურთელს დიდი წვლილი მიუძღვის ამ გამარჯვებებში, მაგრამ მაინც ხაზი უნდა გავუსვათ ნატო ლორიასა და ნინო სირაძის შესანიშნავ თამაშს.

ამ ორი მატჩით ჩვენი გუნდისთვის დამთავრდა ჩემპიონატის პირველი ნახევარი. ჯერჯერობით არ ვიცით დანარჩენი შეხვედრების შედეგები. „ბურევესტნიკს" აქვს 17 გამარჯვება, 5 დამარცხება და 39 ქულით ლიდერთა ჯგუფში იმყოფება (იქნებ ერთპიროვნული ლიდერიცაა) ოღონდ მეორე წრე გაცილებით ძნელი იქნება, რადგან 22 თამაშიდან 14-ს გუნდი სტუმრად ჩაატარებს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი გუნდი ძირითად კონკურენტებს შინ მიიღებს, მეორე წრის პირველ თამაშს კი როსტოვში „კრასნი აკსაისთან" 13-14 იანვარს გამართავს.

**გია ბურდული.**

• • •



**ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „ბურევესტნიკისა" და როსტოვის „კრასნი აკსაის" გუნდების შეხვედრის ეპიზოდი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## მესამე ადგილზე გადაინაცვლეს

**გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 57-ე საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.**

**კაუნასი.** „ჟალგირისისა" და ცსკა-ს გუნდების განმეორებითი მატჩი მძაფრი და შეუპოვარი გამოდგა. ტაიმი მასპინძლებმა 3 ქულით მოიგეს, ძირითადი დრო კი ფრედ — 73:73 დამთავრდა. უძლიერესი ვერ გამოავლინა პირველმა დამატებითმა პერიოდმაც — 82:82 და მხოლოდ მეორეში სტუმრებმა ერთქულიან უპირატესობას მიაღწიეს, რომელმაც შეხვედრის ბედი მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა — 91:90.

**ლენინგრადი.** პირველ შეხვედრაში რიგის ვეფ-თან დამარცხების შემდეგ ადგილობრივმა „სპარტაკმა" რევანში აიღო — 89:88 (44:36).

**ალმა-ათა.** ადგილობრივმა არმიელებმა მეორე შეხვედრაც მოუგეს დონეცკის „შახტიორს" 111:84 (51:48) და სატურნიროო ცხრილში მესამე ადგილზე გადაინაცვლეს.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 25 დეკემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 21 | 20 | 1 | 41 |
| ვეფ (რიგა) | 22 | 13 | 9 | 35 |
| ასკ (ალმა-ათა) | 20 | 14 | 6 | 34 |
| „დინამო" (მოსკ.) | 20 | 13 | 7 | 33 |
| „კალევი" (ტალ.) | 21 | 11 | 10 | 32 |
| „ბუდოველნიკი" (კ.) | 20 | 12 | 8 | 32 |
| რტი (მინსკი) | 22 | 9 | 13 | 31 |
| „ჟალგირისი" (კაუნ.) | 21 | 9 | 12 | 30 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 22 | 8 | 14 | 30 |
| „შახტიორი" (დონ.) | 22 | 7 | 15 | 29 |
| „დინამო" (თბ.) | 19 | 8 | 11 | 27 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 22 | 2 | 20 | 24 |

## ვინ გადარიცხა 3 ათასი მანეთი?

**ჩვენი** გაზეთის 23 დეკემბრის ნომერში გაუწყეთ, რომ მერაბ კოსტავას ფონდს შეემატა 3 ათასი მანეთი. ინფორმაცია ტელეფონით მოგვაწოდეს და ამიტომ გაუგებრობა მოხდა. გამოირკვა, რომ თანხა გადარიცხა არა „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კლუბმა, როგორც ვწერდით, არამედ სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ.

## რეკორდების „წვიმა"

**ხიდნალში** ათლეტიზმში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში 60 რესპუბლიკური რეკორდი დამყარდა და 10 საკავშირო და 1 ევროპის რეკორდი გადაჭარბებული იქნა. ერთ შეჯიბრებაში ამდენი რეკორდი რომ უპრეცედენტოა, ყველას კარგად მოეხსენება, სწორედ ამიტომ ვთხოვეთ საქართველოს ათლეტთა ნაკრები გუნდის ხელმძღვანელს ზაზა ჯაფარიძეს აეხსნა ეს ფაქტი.

— ამ შედეგებს სენსაციად ნუ ჩათვლით, მას რეალური, ზედმიწევნით მიწიერი საფუძველი აქვს. საქმე ისაა, რომ წინა ორ რესპუბლიკურ ჩემპიონატში ჩვენს ათლეტებს ვერ შევუქმენით საჭირო სავარჯიშო და საასპარეზო პირობები იმისათვის, რომ მათ მთელი შესაძლებლობები გამოევლინათ. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჩემპიონატის ვადა წინასწარ რამდენიმე თვით ადრე არ ცხადდებოდა, რის გამოც სპორტსმენები საგანგებოდ ვერ ემზადებოდნენ. მიზეზი? — სპორტის ეს სახეობა ახალია, გვაკლია ორგანიზაციული გამოცდილება, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ ათლეტიზმი ჩვენში საკმაოდ მძიმედ იკაფავს გზას, არა

ის. მე-4 გვ.

## უეფა-ს წესდება ხელთა გვაქვს

„ლელოს" წინა ნომერში ვწერდით, რომ უეფა-ს შტაბბინაში გაიგზავნა ტელექსი — ამ საფეხბურთო ასოციაციას ვთხოვდით მოეწოდებინა უეფა-ს წესდება. იქ საშიაო არდადეგების დაწყების გამო ჯერ კონკრეტული პასუხი არ მიგვიღია. ამასობაში გაირკვა, რომ თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მთავარ მწვრთნელს დავით ყიფიანს მიუგნია ამ დოკუმენტისათვის, რომელიც დღეს უკვე ხელთა გვაქვს და ითარგმნება. მის სრულ ტექსტს „ლელოში" გამოვაქვეყნებთ.

# საქალაქთაშორისო ჩემპიონატი

## (ანუ საკავშიროს ტყუპისცალი) თუ სრულიად საქართველოს ქართული ჩემპიონატი

1. სპორტული ჭიდილი მაშინაა ჭეშმარიტად საყოველთაო დღესასწაული, როცა სპორტსმენის (-ების!) — ამბიცია გამოხატავს გარკვეული გენეტიკური თუ ტრადიციული ნიშნით გაერთიანებული მასის (ოჯახის, საგვარეულოს, სოფლის, ქალაქისა და, მით უმეტეს, ერის!) — ამბიციებს და პრეტენზიებს „მჯობნთა-მჯობნობაზე". ამ პრეტენზიების გარეშე სპორტული შეჯიბრება ჰკარგავს უმთავრესს — გამაკეთილშობილებელ ღელვას, ტრიუმფის წყურვილს...

და, საპირისპიროდ:

— არასოდეს გაუზიარებიათ და არც ოდესმე გაიზიარებენ ბეკერის თუ ლენდლის, ზვერევას თუ მესხის და სხვა მათი რანგის ჩოგბურთელთა „მშობელი" ერები ამ სპორტსმენთა თვალებზე მომდგარ გამარჯვების კურცხალს, რადგან მსოფლიოს ელიტარულმა ჩოგბურთმა საერთოდ დაკარგა ეროვნულ ღირსებათა მედროშის როლი და, ფაქტობრივად, ოქროს ქისების შეჯიბრებად იქცა, სადაც, ჩემი გამოთვლით, ვაჟების თითო მონაწილის საშუალო წლიური ფასი 1317 დოლარია, ხოლო ქალებისა — 653!

ასე რომ, თუ სპორტული ასპარეზობა არ აღელვებს დიდ-პატარას, თუ არ აღვიძებს ერის პატივმოყვარეობას (კეთილშობილურს) და ეროვნულ ღირსებათა (ნიჭთა!) ტრიუმფის წყურვილს, იგი არაა სპორტი!... იგი უკვე აღებ-მიცემობაა!

2. ცოტა ქვემოთ „ჩამოვინაცვლოთ":

ჩემი აზრით, შემთხვევით არაა, რომ ისეთ საყოველთაო-მასობრივ (ხალხურ!) სპორტულ სახეობაში, როგორიც ფეხბურთია, საკავშირო უწყებანი შემთხვევით არ არიდებენ თავს ეროვნებათშორის ჩემპიონატებს და მთელი აქცენტი ქალაქების წარმომადგენლობაზე გადააქვთ (სწორედ ეგ აკლდა „თავისუფალ ერთა მძლე კავშირს ძმურს", რომ ფეხბურთშიც გაეღვიძებინა ეროვნებათაშორისო ვნებანი!).

რაც შეეხება ისეთ, ერთი შეხედვით, ეროვნულ, მაგრამ, მაინც არც თუ საყოველთაო-სახალხო გატაცებას, როგორიცაა ჭიდაობა, რესპუბლიკათშორისი ჩემპიონატი, აქაც განზავებულია (დარღვეულია) „პატარა ნიუანსით", შიგ ჩართული „ზერესპუბლიკებით", ანუ მოსკოვის, ლენინგრადის და რუსეთის ფედერაციის სპორტულად სრულიად უაზრო სტატუსით!

მართალია, იყო დრო, როცა საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატები ტარდებოდა თითქოს ეროვნული ნიშნით (როცა მოსკოვისა და ლენინგრადის გარდა თვით უკრაინაც კი ერთი გუნდით ასპარეზობდა), მაგრამ, მას შემდეგ, რაც უკრაინა და ხანდახან საქართველოც ორი და მეტი ქალაქით იწონებენ თავს ფეხბურთში, ეროვნული ერთობის შეგნების გაუფასურებამ როგორც ჩანს, მიაღწია ზენიტს, და თუ ამას დავუმატებთ საერთო-საკავშირო უწყებათა მძლავრ, თავისთავად (!) სისტემებს (განსაკუთრებით „დინამოსი"), რომელთა სამართავი პულტი მხოლოდ მოსკოვშია, მაშინ, ვგონებ, ცხადია, რომ საკავშირო სპორტული მოძრაობა და მისი მართვა მიზნად საკავშირო, „დერჟავულ" კონსოლიდაციას უფრო ემსახურება, ვიდრე „ვიწრო ეროვნულ" პატივს და თავმოყვარეობას!

რას იზამ! სახელმწიფო პოლიტიკამ და ფინანსურ-ეკონომიკურმა ინტერესებმა შეუძლებელია არ ჩაითრიოს თავის ჩარხში ისეთი საყოველთაო მსოფლიო მოძრაობა, როგორიცაა დიდი სპორტი!

3. „ჩამოვხედეთ" უფრო დაბლა. ამ „წესში" თითქოს გამონაკლისია — თბილისის „დინამოს" „ეროვნული სტატუსი". იგი ჩვენს ტრადიციულ აზრთა წყობაში წარმოადგენს ერთადერთ ეროვნულ გუნდს, საქართველოს ერთადერთ (?!) ეროვნულ ნაკრებს, ანუ ყოველივე საუკეთესოს „სკივრს" და „ყულაბას"! და აი, სწორედ აქაა „დადარაჯებული" საკავშირო მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის (მეთოდის) „ტყუპის ცალი", ვინაიდან „დინამო", სინამდვილეში წარმოადგენს არა თავისი რესპუბლიკის (ერის) ნებისადმი, არამედ, კიდევ უფრო მეტად ცენტრალური უწყებისადმი დაქვემდებარებულ და მისი ნებასურვილის მორჩილ „ეროვნულ" გუნდს, რომელსაც დღემდე ფიქრიც კი ვერ გაუბედავს ეროვნულ სახელზე და... ფორმაზე.

ამდენად მისი სტატუსი, დინასტიური „ერთადერთობის" და „განუმეორებლობისა" არის ზევიდან ღვთით ნაბოძები სამიდლემჩიო ტიტული, რომელთანაც ჯანსაღ სპორტულ მეტოქეობას არაფერი საერთო არა აქვს. ამ სტატუსს საქართველოს ვერარა გუნდი ვერარას დააკლებს... დღესდღეობით მაინც, ვინაიდან ეს სტატუსი ზუსტი ანარეკლია ერთპარტიულობის ავტოკრატიული სისტემისა და სწორედ ამ სტატუსმა ნახევარი საუკუნის „ჩიჩინის" შედეგად შექმნა ქართველი ერის (განსაკუთრებით თბილისელთა) გონებაში „დინამოს" იმპერიული, ქედმაღლურ-მბრძანებლური მოდელი, ასე რომ, ყველაზე მნიშვნელოვანი მეჩეჩი, რამაც შეუძლია „ჩაძიროს" საქართველოს ჩემპიონატის ეროვნული არსი, სწორედ „დინამოა" და სწორედ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მისი მონაწილეობის გონივრულობა ჰბადებს ყველაზე მეტ ეჭვს, რაც ასე აშკარად ჩანს კამათის მონაწილეთა მოსაზრებებშიც!

**ამიტომ, ჩემი აზრით, საქართველოს პირველობა უპრიანია ჩატარდეს „დინამოს" გარეშე!** დაე, მან სახელი ერთპიროვნულად გაუთქვას ქართველ ერს საკავშირო და მსოფლიო ასპარეზზე. მართალია, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში არ არსებობს წესი, რომლის ძალითაც სატახტო ქალაქის სპორტული გუნდი დინასტიურად ბატონობდეს ყველასა და ყველაფერზე (მიუხედავად სპორტული წარმატებებისა), მაგრამ, რაკი ჩვენ, ქართველები, განსაკუთრებული ერი ვართ, დაე, „დინამოც" განსაკუთრებული გვყავდეს!

4. ახლა ის ვთქვათ, რა ვუყოთ საკავშირო ასპარეზობებზე (უმაღლეს თუ მომდევნო ლიგებში) ამდენი ჰაპანწყვეტით გასულ ქართულ საქალაქო და სადაბო გუნდებს, რომელთა უმთავრესი ეროვნული ფუნქცია ისევ და ისევ „დინამოსათვის" ღირსეული რეზერვის მოძებნა-აღზრდაა, „დინამოსვე" მიერ დაწუნებულ ფეხბურთელთა შეფარებასთან ერთად (რომელთაც, სხვათა შორის, „დინამო", როცა მოესურვება, მაშინ დაიბრუნებს... და დასვამს სათადარიგო სკამზე!). ერთი სიტყვით: ა) როგორ შეველიოთ პრესტიჟს ან ხიბლს ვეება საბჭოთა ქვეყნის სახელგანთქმულ გუნდებთან ჭიდილისა და შესაძლო ტრიუმფებისა? ბ) როგორ შეველიოთ ამ მეტოქეობის „ფინანსურ-ეკონომიკური" სარგებლის დაკარგვას (გნებავთ, ბილეთების ლატარიის შემოსავლის და, გნებავთ, დოტაციების და არალეგალური „ქველმოქმედების" სახით?!)?

ვინაიდან, ცხადია, რომ ამ „საკავშირო მნიშვნელობის" გუნდებს, გინდა-არ გინდა, თვალი მაინც ტყისკენ (ანუ რუსეთისკენ!) ექნებათ, ამიტომ, ჩემი აზრით, მოდით, მათაც დავულოცოთ ის ნირი ცხოვრებისა, რომელიც მათ დღემდე „არგავარდნაზე" მეოცნებეთ ლაღად დააქროლებდა ჩვენი დიადი სამშობლოს — საჰაერო და სახმელეთო სივრცეებში.

ახლა, სანამ მთლად „ჩამოვქვეითდებოდეთ", ერთი წუთით „მოკცხვი" პარალელი გავავლოთ ჩვენს მეზობელ „მაძღარ" ევროპასთან:

5. როცა მე ასე იოლად ვურჩიე მკითხველს „საკავშირო მნიშვნელობის ქართული გუნდები გავათავისუფლოთ-მეთქი საქართველოს ჩემპიონატიდან, მხოლოდ ერთადერთი არგუმენტი მათამამებდა და ეს არგუმენტი ერთობ მარტივია: თბილისის და, ვგონებ, ქუთაისის გარდა, ცხუმს, ფოთს, გორს, ზუგდიდს, ოზურგეთს, თელავს და, საერთოდ, საქართველოს არცერთ სხვა ქალაქს არა აქვს ის ისტორიული და პოლიტიკური ტრადიცია ქალაქური განსაკუთრებულობისა და დამოუკიდებლობის სტატუსისა; რაც ასე უხვად გააჩნია ევროპის უმეტესწილ საფეხბურთო ქალაქებს.

6. და, აი, მივადექით მთავარზე მთავარს: კარგად ვნახოთ „რა და ვინ" უმაგრებს ზურგს დღეს საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს, რომელთა უმეტესობას ჰყოფნის და, ღმერთმა ყოველთვის მისცეთ ეს შესაშური მამაცობა, ატარონ საქართველოს ისტორიულ პროვინციათა, ანუ ტრადიციულ რეგიონთა უმშვენიერესი სახელები: „ოდიში" და „გურია", „კახეთი" და „ქართლი", „ეგრისი" და „თრიალეთი", „მესხეთი" და „ჰერეთი", რისი უფლებაც, კაცმა რომ თქვას, მათ არა მგონია ჰქონდეთ, ვინაიდან, სინამდვილეში, ეს გუნდები წარმოადგენენ შვიდ ათეულ ადმინისტრაციულ ერთეულად დაფლეთილ საქართველოს — თითო რაიონულ კომიტეტს, ალმასკომს!

დიახ, 1922 წელს საქართველოს მზაკვრულად წაერთვა უფლება შეენარჩუნებინა თავისი ვეება პოლიტიკური ისტორიის და ჩამოყალიბებული სამეურნეო ტრადიციების გვირგვინი — საოცრად მოქნილი გენეტიკური კოდით დამშვენებული პროვინციები, რომელნიც საოცრად გონივრულად „იჯდენ" (და ჯერ კიდევ „ზიან") **ერთიან კლიმატურ-გეოგრაფიულ და ამიტომ — სამეურნეო გარემოში.**

დიახ, წაერთვა, მაგრამ, სამაგიეროდ, „მოწყალებად" მიიღო ავტონომიები, რის გამოც, ღმერთო ჩემო-და, იმის მოწმეც ვხდებით ხოლმე, რომ სრულიად საქართველოს სპორტულ ღონისძიებებზე ეს ავტონომიები სპორტული ავტონომიების დროშითაც გამოდიან, ხოლო დანარჩენი კი სრულიად საქართველოს უაზროდ გამოთარგული და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ტრადიციათა ღირსებაჩამორთმეული რაიცენტრების თუ ცალკე ქალაქების სახელით!!

იმის გარდა, რომ საქართველოს დაფლეთას ჰქონდა შორს გამიზნული (დღევანდელი დღის ჩათვლით) პოლიტიკური ზრახვა, საქართველოს სპორტულმა მოძრაობამ (და არა მარტო ფეხბურთმა) დაკარგა ის ეშხი და სილამაზე, ის ალტკინება ეროვნული ერთობისა და მრავალფეროვნებისა, რამაც დიდ პოეტს დღესაც ასე მნიშვნელოვანი სტრიქონები დააწერინა:

„თამარის დროშა გაშალეს,
შედრკა დიდუშეს ლაშქარი..."

ეს სტრიქონები, ზუსტად გვიხატავენ მცირერიცხოვანი ქართველი ერის შიგა ეთნიკურ უმდიდრეს მრავალსახეობას — ამ უმშვენიერეს თაიგულს ეროვნული ხასიათებისა!

7. დიახ, საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში (და არა მარტო ფეხბურთში) უნდა ჩატარდეს არა 1922 წელს შექმნილი ანტიქართული ადმინისტრაციული ნაფლეთების, არამედ ორმოცი საუკუნის მანძილზე გამოწრთობილი მთელი ერის საამაყო შიგაეთნიკური დროშებით, რისთვისაც, ჩვენ მზად უნდა გვქონდეს სრულიად საქართველოს ფეხბურთის მოყვარულთა და პროფესიონალთა შორის რეფერენდუმის წესით მიღებული აზრი იმის თაობაზე, რომ:

ა) შეიქმნას თუ არა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ლიგა, ანუ არსებული საფეხბურთო ფედერაციისაგან (და თუ საჭირო იქნება, თვით ფიზკულტურის და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისგან) სრულიად დამოუკიდებელი ასოციაცია, რომლის მესვეურთა შორის არცერთი არ უნდა იყოს იმათგან, რომელთა „მეცადინეობის" შედეგად ქართული ფეხბურთი დღეს ასე სამარცხვინოდ ლაფავს სულს?!

ბ) კანონზომიერად იქნას მიჩნეული თუ არა, რომ ასეთი ლიგის არსებობის პირველი წლები იქნება სიდუხჭირის წლები მესვეურთათვის, მაგრამ, სამაგიეროდ, ნათლად გამოჩნდება არიან თუ არა დღეს საქართველოში ეროვნული ნიჭის აღმოჩენის და ალმასვლის უანგარო ენთუზიასტები, რომლებიც დაუყოვნებლივ შექმნიან ბავშვთა და მოზარდთა სარეზერვო გუნდებს, რომელთა აღზრდილებს არავითარი ვალდებულება არ ექნებათ რესპუბლიკის საკავშირო გუნდების წინაშე, მაგრამ, სამაგიეროდ, რომელთა ოსტატობის ამაღლება საერთაშორისო სტანდარტამდე 5-7 წელიწადში მაინც იქნება ამ სკოლების უპირველესი და სხვა არავისზე დამოკიდებული ფუნქცია?!

გ) არანაკლებ მთავარია, „ახლავე გადაწყდეს და განვგარიშებულ იქნას, შეძლებენ თუ არა ქართული ტრადიციული რეგიონები სპორტსმენ ბავშვთა და მოზრდილთა შენახვას, სტადიონების რეკონსტრუქციას და, ამავე დროს, ეყოფათ თუ არა „ახალგამომცხვარ" მესვეურთ გამძლეობა „მუქთის მოტეხვის" ჩვეულებრივი სენის წინააღმდეგ?!

ექნება თუ არა ზემოთ შემოთავაზებულ „მოდელს" ეროვნული ჩემპიონატის ისეთი პატრიოტული მუხტი და რეალურად ისეთი მაღალი სპორტული დონე, რომ „ტყეში" (რუსეთში) გაჭრილ შვილებს თვითვე მოესურვოთ „ოჯახში" დაბრუნება (რაკილა, საქართველოს და საკავშირო ჩემპიონატების კომბინირებას ჯადოქრობა თუ შეგვაძლებინებს), ამას ჯერ ჩვენი შემართება და მერე კიდევ, გარეშე პირობები (საერთაშორისოც!) გვაჩვენებს.

8. და, ვინაიდან, ასეთი საფეხბურთო ჩემპიონატი საქართველოს მასშტაბითაც კი ორგანიზაციულად ფრიად რთული რამ თავსატეხი იქნება, ხომ არ აჯობებდა ამ ეროვნული ფორმულის სინაღდე ჯერ ქართული ჭიდაობისა და ცხენბურთის ჩემპიონატებზე გვესინჯა?

ისე, ცოდვა გატეხილი ჯობს და, დღევანდელი ჩვენი საფეხბურთო ყოფის შემყურეს, კარგაძალი რწმენის და ოპტიმიზმის მოხმობა დამჭირდა, ამ წერილით (დაე, ოცნებით!) რომ შემოვბედე ქართული ფეხბურთის ქომაგებს.

**ლერი სიხარულიძე.**

**ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება საქართველოს დემოგრაფიულ ფონდში.**

# ორი ნაბიჯის ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დასასრულს მიუახლოვდა დედაქალაქის მოჭადრაკეთა ვაჟთა 61-ე ჩემპიონატი.

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს:

**XII ტური:** კაკაბაძე — ბოკუჩავა 1:0, ლაზარაშვილი — ლობჟანიძე 1:0, კუჭუხიძე—პეტრიაშვილი 1:0, ხაბურზანია — ყაჭეიშვილი 0:1, ვაშაკიძე — დგებუაძე 1:0, გოგიჩაიშვილი—პაქსაშვილი 1:0, პოპოვი — სირბილაძე 1:0, გოგოლაძე — გოგაძე 0,5:0,5, მელაშვილი — შალამბერიძე 0,5:0,5.

**XIII ტური:** სირბილაძე — კაკაბაძე 0:1, პაქსაშვილი — პოპოვი 0:1, გოგაძე — გოგიჩაიშვილი 0:1, დგებუაძე — გოგოლაძე 0:1, პეტრიაშვილი — ხაბურზანია 0:1, შალამბერიძე — კუჭუხიძე 1:0, ლობჟანიძე — მელაშვილი 0,5:0,5, ყაჭეიშვილი — ვაშაკიძე 0,5:0,5, ბოკუჩავა — ლაზარაშვილი 0,5:0,5.

**XIV ტური:** კუჭუხიძე — ლობჟანიძე 1:0, ხაბურზანია — შალამბერიძე 0:1, გოგოლაძე — ყაჭეიშვილი 1:0, გოგიჩაიშვილი — დგებუაძე 1:0, პოპოვი — გოგაძე 1:0, სირბილაძე — პაქსაშვილი 0:1, ვაშაკიძე — პეტრიაშვილი 0,5:0,5, კაკაბაძე — ლაზარაშვილი 0,5:0,5, მელაშვილი — ბოკუჩავა 0,5:0,5.

**XV ტური:** პაქსაშვილი — კაკაბაძე 0:1, გოგაძე — სირბილაძე 0:1, დგებუაძე — პოპოვი 0:1, ყაჭეიშვილი — გოგიჩაიშვილი 0:1, პეტრიაშვილი — გოგაძე 0:1, შალამბერიძე — ვაშაკიძე 1:0, ბოკუჩავა—კუჭუხიძე 0:1, ლობჟანიძე — ხაბურზანია 0,5:0,5, ლაზარაშვილი — მელაშვილი 0,5:0,5.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ასეთი შედეგები აღინიშნა: **IV ტური:** შალამბერიძე — გოგაძე 0:1; **V ტური:** გოგოლაძე — ხაბურზანია 1:0; **VIII ტური:** ხაბურზანია — სირბილაძე 1:0; **X ტური:** კაკაბაძე — ლობჟანიძე 1:0, გოგოლაძე — სირბილაძე 1:0, გოგიჩაიშვილი — პოპოვი 0,5:0,5; **XI ტური:** ყაჭეიშვილი — კუჭუხიძე 1:0, პეტრიაშვილი — მელაშვილი 1:0, ლობჟანიძე — ბოკუჩავა 0:1, შალამბერიძე — ლაზარაშვილი 0,5:0,5.

ამრიგად, 15 ტურის შემდეგ შეჯიბრებას 12,5 ქულით სათავეში უდგას რევაზ კაკაბაძე. მას ნახევარნახევარი ქულით ჩამორჩებიან გივი გოგიჩაიშვილი და იანის პოპოვი.

**რაჩიკ კარტაშიანი,**
**შეჯიბრების მთავარი მდივანი-მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

## დღეს, 18 საათზე...

**საქართველოს** ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების წინადადების განხილვასთან დაკავშირებით დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონის საკონფერენციო დარბაზში ერთმანეთს შეხვდებიან ფეხბურთის სპეციალისტები, გულშემატკივრები და ჟურნალისტები. აჩვენებენ ა. ელენტის მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს „გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში?"

როგორც ადრე იყო გამოცხადებული, შეხვედრაზე დასწრების მსურველთა სია შედგენილია წინასწარი ჩაწერით.

შეხვედრა დაიწყება 18 საათზე.

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია.**

# სუპერფინალები

**კალათბურთელ** ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელიც ჯერ კიდევ მარტში დაიწყო, ოთხ ტურად ჩატარდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, რუსთავის, „მართვეს", ფიზკულტურისა და პედაგოგიური ინსტიტუტების, აგრეთვე, უნივერსიტეტის კალათბურთელები.

სუპერფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ქუთაისის „ათინათმა" და თბილისის „მართვემ". მეტოქეებმა გამართეს ორი შეხვედრა (მესამის ჩატარება არ გახდა საჭირო) და ორივე ქუთაისელმა კალათბურთელებმა მოიგეს — 79:64 (37:24) და 98:60 (53:33). რესპუბლიკის წლევანდელი ჩემპიონის ღირსებას (მწვრთნელები ვანო მელაძე და ოთარ ჩაჩუა) იცავდნენ: ცანავა, ბიძგარაძე, ჰეიშვილი, ქაჯაია, იობიძე, მელქაძე, კანდელაკი, ფურცელაძე, ბერძენიშვილი, გოგლიჩიძე.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა III ადგილის პრეტენდენტთა დავა ფიზკულტურის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის კოლექტივებს შორის. პირველი შეხვედრა ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მოიგეს — 73:67 (41:35), მეორე — უნივერსიტეტელებმა — 67:58 (35:20). დაინიშნა მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა, რომელშიც ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებმა იმარჯვეს — 66:53 (28:27) და მესამე ადგილს დაეუფლნენ.

**გაიმართა** ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი სუპერფინალური მატჩიც. ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები. გამარჯვება ანგარიშით 110:90 ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს ხვდა. დღეს, 19 საათზე, ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართება ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა.

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ათინათი".**



გ. ბელარამშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს ღია პირველობა მკლავჭიდში**

ამ ბოლო დროს რამდენიმე ახალი სპორტის სახეობა გავიცანით, სახეობები, რომლებიც თითქმის მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. მათ შორისაა მკლავის გადაძალვა — მკლავჭიდი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო აზარტული და საინტერესო ორთაბრძოლა. წელს ჩვენში უკვე ორი ტურნირი მოეწყო — უნივერსიტეტის ღია პირველობა და რესპუბლიკური უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება.





# იქნებ ამერიკაშიც...

24 დეკემბერს თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა საქართველოს ღია პირველობა. წინასწორბათ ღონისძიების ორგანიზატორი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ-საგამომცემლო კოოპერატივი „არწივი".

ტურნირში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა მსურველს. შეჯიბრება ორ წონით კატეგორიაში გაიმართა: 80 კგ-მდე და 80 კგ-ს ზემოთ. თავდაპირველად აქ 218 სპორტსმენი სცდიდა ძალას, ეს რიცხვი თანდათანობით შემცირდა და თითქმის 6-საათიანი ბრძოლის შემდეგ გამოვლინდნენ ფინალისტები: 80 კგ-მდე წონით კატეგორიაში რიჩარდ კვიციანი (მესტია) და ვახტანგ ხათაშვილი (კასპი), უფრო მძიმე წონაში — ზაურ ცხადაძე (ზესტაფონი) და გოჩა ონანოვი (სიღნაღი). „მსუბუქ" სპორტსმენთა მეტად დაძაბული ჭიდილის შემდეგ გამარჯვებული ვ. ხათაშვილი გამოვიდა. მძიმე წონაში კი ცხადაძემ იოლად სძლია ონანოვს. დადგა ტურნირის კულმინაციური ეპიზოდი — ბრძოლა აბსოლუტური ჩემპიონობისათვის, რომელიც ჯილდოდ სოლიდურ თანხას — 1000 მანეთს იღებდა. მაგრამ მაყურებელმა დაძაბული, ხანგრძლივი ბრძოლის ნაცვლად ზაურ ცხადაძის (სურათზე მარჯვნივ) — საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრების წევრის — იოლი გამარჯვება იხილა. საერთოდ, მან ფინალამდე ყველა მეტოქე ისე ადვილად ჩამოიცილა გზიდან, რომ წინასწარ თითქმის არავის აეჭვებოდა მისი საბოლოო წარმატება.

უძლიერესი მარჯვენის პატრონმა რაინდული სიმშვიდით მიიღო ჩემპიონის ტიტული.

შესვენებისას საჩვენებელი გამოსვლები გამართეს უნივერსიტეტთან არსებული სპორტული კლუბის „შევარდენის" ხელჩართული ბრძოლისა და კარატედო-ს სექციის წარმომადგენლებმა (ხელმძღვანელი ზურაბ ლეჟავა), ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა (ირინა გაბაშვილი).

მეოთხედფინალური ორთაბრძოლების დაწყებამდე შეჯიბრების ორგანიზატორებმა სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზეს მაყურებელს: ტურნირს ეწვივნენ გამოჩენილი ქართველი ფალავნები, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები: დავით ციმაკურიძე, გურამ საღარაძე, გივი კარტოზია, მირიან ცალქალამანიძე, შოთა ლომიძე, რომან რურუა, როსტომ აბაშიძე, შოთა ხაბარელი, ვახტანგ ბლაგიძე, თემურ ყაზარაშვილი, გურამ გედეხაური და სხვა გამოჩენილი ქართველი მოჭიდავეები (იხ. სურათი). გივი კარტოზიამ სტუმართა სახელით შობის დღესასწაული მიულოცა სპორტსმენებსა და მაყურებლებს და წარმატება უსურვა ჩვენში ახლადფეხადგმულ სპორტის სახეობას. ამდენი დიდებული ფალავნის ერთდროულად ხილვა მართლა უზომო ბედნიერება იყო ქართველი სპორტის მოყვარულთათვის.

ტურნირზე დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზებიც, შოთა ლომიძის პრიზი გადაეცა ზაურ ცხადაძეს, დავით კვაჭაძისა — გოჩა ონანოვს...

აქვე ისიც აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ შეჯიბრებას არ ჰქონდა დებულება, სამაგიეროდ, მას მრავალი ხარვეზი ახლდა, რაც ორგანიზატორთა გამოუცდელობისა და კვალიფიციური სპეციალისტების არყოფნას მიეწერება. მსაჯთა შეცდომებმა, აგრეთვე ქომაგთა ზედმეტმა აქტიურობამ ტურნირი ლამის ჩაშლის პირას მიიყვანა, თუმცა საბოლოოდ ურთიერთგაგებამ იმძლავრა და ყველაფერი კალაპოტში ჩადგა.

როგორც ტურნირის მთავარმა მსაჯმა ვახტანგ მუსელიანმა თქვა, შექმნილია მწვრთნელთა საბჭო მკლავჭიდში, რომელიც მიზნად ისახავს პოპულარიზაცია გაუწიოს ამ ახალ სახეობას, განავითაროს საქართველოში და დააჩქაროს მისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭება.

ხოლო იმ სპორტსმენებისგან, რომლებიც წარმატებით გამოვიდნენ ამ ტურნირზე, შედგება საქართველოს ნაკრები (სულ 16 სპორტსმენი), რომელიც საკავშირო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ამ შეჯიბრებაზე შეირჩევა საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელიც მომავალი წლის მარტში ამერიკელ სპორტსმენებთან ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად აშშ-ში გაემგზავრება.

**ლევან ჯავახიშვილი.**

## ფეხბურთის ახალი ამბები

**მოსკოვის** დინამოელთა კოლექტივმა სოფიაში მონაწილეობა მიიღო მინიფეხბურთის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომლის ორგანიზატორები არიან ჟურნალი „ოტეჩესტვო" და ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაცია. მოსკოვის დინამოელები გათამაშების ფინალში გავიდნენ, სადაც მასპინძელთა კლუბს „სლოვენს" შეხვდნენ. თამაში მოიგეს ბულგარელმა ფეხბურთელებმა — 9:7 და მთავარ პრიზსაც დაეუფლნენ. მესამე ადგილზეა იუგოსლავიის „რადნიჩკი", რომელმაც ადგილობრივ „ლევსკი-სპარტაკს" მოუგო.

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში სტუმრად იყო ერევნის „არარატი". ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ სტადიონზე, 20 ათასი მაყურებლის თანდასწრებით, „არარატმა" ანგარიშით 0:2 წააგო მექსიკის ნაკრებთან, რის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა ადგილობრივ სამოყვარულო კლუბთან „არმენიასთან" და „ჰომენმენთან" შესაბამისად 4:1 და 4:2.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმოგზაურეს მოსკოვის ტორპედოელებმა, სადაც გამარჯვებები მოიპოვეს ადგილობრივ სამოყვარულო კლუბებთან.

მოსკოვის „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ ვ. იურინის ნაცვლად დანიშნეს ი. მირონოვი, რომელიც წლების განმავლობაში თამაშობდა ამ გუნდში, შემდეგ კი კემეროვოს „კუზბასს" წვრთნიდა.

**როგორც** ცნობილი გახდა, დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" თავდამსხმელმა ევგენი შახოვმა კონტრაქტს მოაწერა ხელი გფრ-ის ცნობილ კლუბ „კაიზერსლაუტერნთან".

**დუშანბეს** „პამირის" მთავარი მწვრთნელი შ. ნაზაროვი ერთი სეზონით უცხოეთში იმყოფებოდა და სათავეში ედგა ეგვიპტის გუნდს. შ. ნაზაროვის ნაცვლად 1989 წელს „პამირს" ხელმძღვანელობდა ე. ხაბი. როგორც ცნობილი გახდა, შ. ნაზაროვი შინ დაბრუნდა და კვლავ სათავეში ჩაუდგა დუშანბეს „პამირს".

**დონის როსტოვის** არმიელ ფეხბურთელთა გუნდი ერთობ წარუმატებლად გამოდის ბოლო წლებში, საქმე იქამდეც მივიდა, რომ უმაღლესი ლიგის ეს კოლექტივი ჯერ პირველ ლიგაში ჩამოქვეითდა, ახლა კი მეორეშიც გადაინაცვლა.

სულ ახლახან როსტოვის არმიელთა კლუბს კვლავ სათავეში ჩაუდგა მთავარი მწვრთნელი ი. ბეცა. მისი ხელმძღვანელობით გუნდი მეორე ლიგის ერთ-ერთ ზონაში ითამაშებს.

**კოლუმბიის** ფეხბურთის ფედერაცია ოფიციალური განცხადებით გამოვიდა იმის თაობაზე, რომ ამ ქვეყნის ჩემპიონატის დარჩენილი მატჩები არ შედგება. ეს გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც ამას წინათ მოკლეს მსაჯი ალვარო ორტეგა. მსაჯმა უარი განაცხადა დახმარებოდა ერთ-ერთ გუნდს, რომლის გამარჯვებისთვის კოლუმბიის საფეხბურთო მაფიას დიდი თანხა ჰქონდა დაბანდებული ტოტალიზატორში.

ჩემპიონატის დარჩენილი მატჩების გაუქმების გადაწყვეტილება კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო ერთხმად, როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა ალექს გორაიებმა განაცხადა, ახალი საფეხბურთო სეზონი ამ ქვეყანაში იანვარში დაიწყება.

**იტალიისა** და არგენტინის ამასწინანდელი შეხვედრის (0:0) მსაჯი იყო საბჭოთა არბიტრი ა. სპირინი.

**ურუგვაის** ფეხბურთის ფედერაციამ ბრალი დასდო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას იმაში, რომ 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის წილისყრისას, რომელიც 9 დეკემბერს შედგა რომში, ურუგვაის ნაკრები სუსტი გუნდების რიცხვს მიაკუთვნეს, ურუგვაი კი ორჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი.

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციას 1990 წლის 26 მარტისთვის დრეზდენში მეტად საინტერესო მატჩი აქვს დაგეგმილი. აქ ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ე. წ. მსოფლიოს ნაკრები და გაერთიანებული გერმანიის გუნდი.

როგორც იტყობინებიან, მსოფლიოს ნაკრების ხელმძღვანელი იქნება ლუის მენოტი (არგენტინა), ხოლო მეტოქისა — გეორგ ბუშნერი (გდრ), იუპ დერვალი ან ჰელმუტ შიონი (გფრ).

**დიდი** ბრიტანეთის უძლიერესი საფეხბურთო კლუბის წოდება მოიპოვა ინგლისის ჩემპიონმა „არსენალმა" (ლონდონი), რომელიც გასულ სამშაბათს გლაზგოში შეხვდა შოტლანდიის ჩემპიონს „გლაზგო რეინჯერსს" და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

პირველ წარმატებას ინგლისელებმა მიაღწიეს (დევისი), შოტლანდიელმა მ. ჯონსტონმა შესვენების შემდეგ ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ქუინმა მაინც შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა „გლაზგო რეინჯერსის" კარში.

**არაბეთის** ქვეყნების ჩემპიონთა თასი ფეხბურთში მოიპოვა მაროკოს დედაქალაქ კასაბლანკის ვაკმა, რომელსაც საბჭოთა სპეციალისტი ი. სევოსტიანენკო ხელმძღვანელობს.

საინტერესოა, რომ ვაკ-ის სათადარიგო შემადგენლობაში იმყოფება საბჭოთა ფეხბურთელი ოლეგ ტარანი. იგი კლუბთან ხელშეკრულებით სტაჟირებას გადის მაროკოში, ამ კლუბმა, შესაძლოა, მასთან კონტრაქტს მოაწეროს ხელი.



## „ოქროს ბურთი" — მარკო ვან ბასტენს

— ფრანგული ყოველკვირეული გამოცემის „ფრანს ფუტბოლის" საპატიო პრიზი — „ოქროს ბურთი" 1989 წლის შედეგებით გადაეცემა ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელს, იტალიის „მილანში" მოთამაშე ფეხბურთელს მარკო ვან ბასტენს. ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა ეს საპატიო პრიზი მეორედ მოიპოვა.

„ფრანს ფუტბოლის" რეფერენდუმში მონაწილეობდნენ ფეხბურთის ცნობილი მიმომხილველები, მარკო ვან ბასტენმა 119 ქულა დააგროვა და დიდი განსხვავებით გაუსწრო იტალიის ნაკრების მცველს ფრანკო ბარესის, რომელიც აგრეთვე „მილანში" გამოდის. ფ. ბარესის 80 ქულა აქვს. მესამე ადგილზეა ასევე „მილანის" მოთამაშე ჰოლანდიელი ფრანკ რაიკაარდი — 43 ქულა.

ის ამბავი, რომ „მილანის" სამმა ფეხბურთელმა ასეთ დიდ წარმატებას მიაღწია, გასაკვირი არ არის. იტალიის ამ კლუბმა 1989 წელს მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი.

მ. ვან ბასტენი, როგორც აღვნიშნეთ, შარშანაც ფლობდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს. 1987 წელს „ოქროს ბურთის" ლაურეატი იყო ჰოლანდიელი ფეხბურთელი რუუდ გულიტი, აგრეთვე, „მილანის" წარმომადგენელი. წლევანდელი სეზონი რ. გულიტმა საუკეთესოდ დაიწყო, მაგრამ ერთ-ერთ მატჩში მძიმედ დაშავდა და რამდენიმე თვე მინდორზე არ გამოსულა. ამის მიუხედავად წლევანდელ კლასიფიკაციაში იგი მეშვიდე ადგილზეა.

საბჭოთა ფეხბურთელთაგან „ფრანს ფუტბოლის" საუკეთესო ათეულში ვერავინ ვერ მოხვდა.

სურათზე: მარკო ვან ბასტენი.

## მარადონასაც კი არ აპატიებენ

**ცნობილი** არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას მიერ ჟურნალისტებთან საუბარში გამოთქმული უკმაყოფილების შესახებ მკითხველმა კარგად იცის. მსოფლიო ჩემპიონმა საკუთარ თავს უფლება მისცა დაეჭვებულიყო 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრის ობიექტურობაში, მთელ ამ სადღესასწაულო პროცედურას მაქინაცია უწოდა და თამამად განაცხადა, რომ უკვე ახლა ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რათა იტალიელებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვონ და მეოთხედ გახდნენ უმაღლესი საფეხბურთო ტიტულის მფლობელნი.

საპასუხო რეაქციამაც არ დააყოვნა. იტალიის ფეხბურთის ფედერაცია უკვე შეუდგა ინციდენტის გარჩევას, ფედერაციის ხელმძღვანელები არ მალავენ, რომ მკაცრ სანქციებს აპირებენ მარადონას მიმართ, რომელიც იტალიის „ნაპოლიში" თამაშობს.

საქმეში, ეტყობა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაც ჩაერევა, ვინაიდან წილისყრის შოუს ორგანიზაცია სწორედ მას ეხება და, ამდენად, მარადონამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პატიოსნება და ობიექტურობა საეჭვო გახადა. ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა მარადონას განცხადებას იდიოტური უწოდა და თუ მან უკან არ წაიღო თავისი სიტყვები, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია უმკაცრეს სასჯელსაც მიმართავს. შესაძლოა მარადონას აუკრძალონ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობა.

ი. ბლატერმა დაუმატა, რომ დიეგო მარადონას უღირს საქციელზე ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი 10 იანვარს იმსჯელებს.

### სამ თვეს დაისვენებს

**გფრ-ის** ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი მეკარე შუმახერი, რომელიც ახლა სტამბულის „ფენერბახჩეში" გამოდის, ჰეპატიტით დაავადდა. ექიმები მიიჩნევენ, რომ მის განკურნებას 3 თვე მაინც დასჭირდება.

### პენალტების დიდი სპეციალისტი

**როგორც** ვიუწყებოდით, ფეხბურთს დაუბრუნდა ცნობილი მეკარე ჰელმუტ დუკადემი — პენალტების აღების დიდი სპეციალისტი. იგი ახლა „ვაგონულში" (ქ. არადი) თამაშობს. ამას წინათ რუმინეთის თასზე დუკადემმა გაიხსენა თავისი ძველი ხელობა: ერთ მატჩში ორი 11-მეტრიანი მოიგერია.

### 14-დან 109 დოლარამდე

**მსოფლიო** ჩემპიონატის პირველივე მატჩი, რომელიც მილანის „სან-სიროს" სტადიონზე ტარდება, არნახულ აჟიოტაჟს იწვევს. ბილეთების ფასი სხვადასხვაა — 14-დან 109 დოლარამდე.

### 5 უცხოელი

**მექსიკის** ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს უფლება აქვთ 5 უცხოელი ფეხბურთელი იყოლიონ. აქედან, მინდორზე ერთდროულად ოთხის გამოყვანა შეიძლება.

# „ნალდი" ჩემპიონატის მოლოდინში

(დასასრული)

გაიტანა. თავიდან ზოოვეტმა შეუტია და ერთ-ერთი მარაოს დროს ბახტაძე დიდებულადაც ჩაერთო იერიშში, მაგრამ ამაოდ. შემდეგ, გარე ნახევარმცველ ტყაბლაძის „ხრიკების" წყალობით, ინიციატივამ „აისის" მხარეზე გადაინაცვლა, ზოოვეტის ლელოსთან ზედიზედ დანიშნულ შერკინებებში თერთმეტი ქუთაისელი ჩაება, უკანაც დაახევინა მეტოქეს და როდესაც მე-16 წუთზე ზოოვეტმა წესების დარღვევით შეაჩერა მეტოქის წინსვლა, მსაჯმა სამართლიანად დანიშნა საჯარიმო ლელო, რომლის გარდასახვა თედოშვილს არ გასჭირვებია. აქედან მოყოლებული ზოოვეტელებმა შეუტიეს, მაგრამ ორჯერ ლელომდე მიტანილი ბურთი იქ ვერ შეიტანეს, სამჯერ კი საჯარიმო გაუცუდდათ. მეორე ტაიმი, ერთი პირობა, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, შემდეგ ზოოვეტელებმა საწაულით დააღწიეს თავი განსაცდელს, როცა თავიანთი კარის ხაზთან დანიშნულ შერკინებებში გაუძლეს ქუთაისელთა დაწოლას, ბოლოს კი გაბედული იერიშიც წამოიწყეს. მაგრამ აქ თავისი სიტყვა კვლავ ტყაბლაძემ თქვა: 70-ე წუთზე მან საჯარიმოს გატანით სხვაობა 9 ქულამდე გაზარდა და თუმცა თამაშის ბოლომდე ზოოვეტი ბევრს ეცადა, უნივერსიტეტის მსგავსად, კარში დასარტყმელი სამი საჯარიმო გაითამაშა, ერთხელ ლელოშიც შეაღწია, მაგრამ ბურთი ვერ დაამიწა; ბოლოს „აისის" მიერ ათმეტრიანი დისტანციის განზრახ დაუცველობისათვის საჯარიმო ლელოც დაიმსახურა, მაგრამ მაინც დამარცხდა, რადგანაც თამაშის მიწურულს თავის კარის ხაზთან უხეშად შეცდა, „აისმა" ხელთ იგდო ბურთი, ტყაბლაძე დაუსხლტა მეტოქეებს, ლელო გაიტანა, გოგავამ გარდასახა და ქუთაისის ვუნდმაც მეორედ (პირველად 1986 წელს) მოიგო საქართველოს ჩემპიონატი.

ჟიურიმ დაასახელა და დაასაჩუქრა სათამაშო რგოლების მიხედვით საუკეთესო მოთამაშეებიც: მცველი შანიძე („აისი"), სამმეოთხედელი ბახტაძე (ზოოვეტი), ნახევარმცველი ტყაბლაძე („აისი"), მორკინალები სულხანიშვილი (ზოოვეტი) და კობახიძე (სპი). კობახიძე გახდა შეჯიბრების ყველაზე შედეგიანი მოთამაშეც: მის ანგარიშზე 35 ქულაა (2 ლელო, 6 გარდასახვა, 5 საჯარიმო). აისელმა ტყაბლაძემ და უნივერსიტეტელმა ახობაძემ 19-19 ქულა მოაგროვეს.

მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრება წრიული სისტემით არ ჩატარებულა, გთავაზობთ ცხრილს, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით მონაწილეთა ძალებზე:

| | | მ. | ფ. | წ. | ლ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „აისი" | 3 | 0 | 0 | 5:2 | 40:25 |
| 2. | ზოოვეტი | 2 | 0 | 1 | 13:6 | 65:35 |
| 3. | „შევარდ." | 2 | 0 | 1 | 5:2 | 39:20 |
| 4. | თსუ | 1 | 0 | 2 | 4:15 | 37:76 |
| 5. | სპი | 1 | 0 | 2 | 8:6 | 59:44 |
| 6. | ჭიათურა | 0 | 0 | 3 | 7:11 | 35:75 |

მოგეხსენებათ, მორაგბენი განებივრებული არა გვყავს არც სათამაშო მოედნებითა და არც საწვრთნელი ბაზებით. ამიტომ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ჩემპიონატის სანიმუშო ორგანიზაციას დიდად შეუწყო ხელი შეჯიბრების ვარკეთილის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში გამართვამ. თამაშები ცენტრის სარაგბო მოედანზე მიმდინარეობდა, ჩამოსულ გუნდებსა და ზოოვეტის კოლექტივს კი ოთხსართულიან სასტუმროში თითო სართული ეჭირათ. ასე რომ, მონაწილენი იქვე იკვებებოდნენ და არც სავარჯიშოდ წასვლა უწევდათ შორს.

**ბოლოთქმა:** დამთავრდა საქართველოს მორიგი ჩემპიონატი. „მორიგი" იმდენად, რამდენადაც უკვე მერამდენედ (!) მასში მონაწილეობა არ მიუღიათ უძლიერეს ქართველ მორაგბეებს — ყველაზე მოკრძალებული შეფასებით, სულ ცოტა, 80 კაცს. რაკილა ახლა ენერგიულად ვმსჯელობთ და ვბღვწით საქართველოს სპორტული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად, რომლის საფუძველი, უდავოდ, სისხლსავსე, სრულფასოვანი საშინაო სპორტული ცხოვრება უნდა იყოს, ვერაფერით [illegible] საქართველოს „მორიგი" ჩემპიონატების გამართვას. ყველაფერი ამის გამო ახალ წელს „ლელო" კიდევ ერთხელ დაუბრუნდება რაგბიში საქართველოს „ნალდი" ჩემპიონატის მოწყობისა და ყველა რანგის ქართული გუნდების მდგომარეობისა და ურთიერთობის საკითხს



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

• • •

შაბათს სსრ კავშირის მორაგბეთა ნაკრებმა ქალაქ ნორსჰემფთონში მასპინძელი ქვეყნის „ბ" (მეორე) ნაკრებთან შეხვედრით დაამთავრა თავისი პირველი ინგლისური ტურნე. თამაში ბრიტანელებმა მოიგეს — 18:10 (18:0). მანამდე, ტურნეს ბოლოსწინა მატჩში, საბჭოთა გუნდი დამარცხდა ჩრდილოეთ ინგლისის ნაკრებთანაც — 14:30.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ცნობით, შეიქმნა სსრ კავშირში პროფესიული, ცამეტკაციანი რაგბის დანერგვისა და შესაბამისი მმართველი ორგანოს — რაგბის ლიგის დაარსების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც მფრინავი-კოსმონავტი ლეონიდ პოპოვი ხელმძღვანელობს. ლიგის დამფუძნებელი კონფერენცია სულ მალე, ნაახალწლევს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ რაგბის ლიგა მთელს მსოფლიოში ჩვენში გავრცელებული სამოყვარულო, თხუთმეტკაციანი რაგბის დაუძინებელ კონკურენტად ითვლება და საუკეთესო მოყვარული მორაგბეების თავისკენ გადაბირებითაა ცნობილი.

## დაფებთან — დინამოელები

**ამ დღეებში** თბილისის ჭადრაკის სასახლე ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელოვან რესპუბლიკურ ღონისძიებას მასპინძლობს. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება დინამოელთა პირველობაა, რომელიც შვეიცარიული სისტემით (9 ტური) ტარდება და მასში 64 მოჭადრაკე მონაწილეობს.

განვლილია 6 ტური.

**ვაჟთა** შორის 5-5 ქულით ლიდერობენ თბილისელები ვიქტორ დავითაშვილი და გრიგორი ნეგოდა. 4-4 ქულა აქვთ მათ თანაქალაქელებს ალექსანდრე დიდებულიძესა და ნიკოლოზ ლობჟანიძეს.

**ჭაბუკთა** შეჯიბრებაში დაწინაურდნენ: ზურაბ იგრიაშვილი (რუსთავი) — 5 ქულა, ლევან ლეჟავა და ბადრი დარსანია (ორივე — ოჩამჩირე) — 4,5-4,5 ქულა.

**გოგონათა** ტურნირს 3,5 ქულით ლიდერობს ეკა მარშანია (თბილისი). მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ მირანდა ხორავა და ნინო მელაძე (ორივე-თბილისი) — 3-3 ქულა.

**ბიორგი-ჟამილიანტი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**

## საკდესის ანკეტით...

**25 ქვეყნის** 28 სააგენტოს სპორტული კომენტატორების გამოკითხვის შედეგად საკდესის ტრადიციული ანკეტით 1989 წლის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებად დასახელებული არიან: ცნობილი დასავლეთგერმანელი ჩოგბურთელი ქალი შტეფი გრაფი, მსოფლიოს ჩემპიონი პროფესიონალ ველოსიპედისტთა შორის გრეგ ლემონდი და მსოფლიოს რეკორდსმენი 110 მეტრზე თარჯრბენში როჯერ კინგდომი (ორივე — აშშ).

## „სპორტლოტო"

**მოსკოვში** გაიმართა „სპორტლოტოს" 1989 წლის მორიგი, 52-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 21 (ცურვა), 22 (წყალში ხტომა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 39 (ბადმინტონი), 43 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 2 (ბიატლონი), 11 (ფრენბურთი), 21 (ცურვა), 27 (მშვილდოსნობა), 28 (ტყვიის სროლა).

# რეკორდების „წვიმა"

(დასასრული)

გვყავს მთავარი მწვრთნელი. უსახსრობის გამო „ბურევესტნიკის" სპორტული კომპლექსის ადმინისტრაციამ, სადაც ჩვენ ვარჯიშის კარგი პირობები გვქონდა, მჭიდროდ მოგვიხურა კარი. კიდევ კარგი რომ უნივერსიტეტმა შეგვიკედლა. დიდი მადლიერების გრძნობით მინდა აღვნიშნო ჩვენი სპონსორი, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი. სწორედ მან დააფინანსა სიღნაღში გამართული ჩემპიონატი და შექმნა ყველანაირი



შოთა ბეჟაშვილი

პირობა, რომ სპორტსმენებს მაღალი შედეგები ეჩვენებინათ. შეჯიბრების ორგანიზაციაში დიდი წვლილი შეიტანა, აგრეთვე, სიღნაღის შინაგან საქმეთა რაიონულმა განყოფილებამ. რაც შეეხება რეკორდებს, რომლებიც იქ დამყარდა, ცხადია, მომავალ ჩემპიონატებში მათ ასე იოლად ველარ გავაუმჯობესებთ.

**● საქართველოს რეკორდების გარდა სიღნაღში რომ ათი საკავშირო და ერთი ევროპის რეკორდია გაუმჯობესებული?**

— სპორტის ეს სახეობა ახალია, ათლეტთა შესაძლებლობების ორიენტირი კი დაუდგენელი. ამით, ცხადია, არ მინდა ჩვენი ათლეტების ნიჭი და უნარი დავაკნინო. მათ შორის რამდენიმე მალე იტყვის თავის სიტყვას. განსაკუთრებით უნდა გამოვყო სიღნაღელი მძიმეწონის ძალოსანი შოთა ბეჟაშვილი. მან ორ საკავშირო რეკორდს გადააჭარბა — ჩაჯდომით 340 კილოგრამი დასძლია, წოლჭიმში — 272,5. ბოლო შედეგი 15 კილოგრამით აღემატება ფინელი ათლეტის ჰანნუ სარელაინენის ევროპის რეკორდს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბეჟაშვილმა და თელაველმა დავით ბეჟანიშვილმა ზედიზედ მესამედ მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის წოდება. უძლიერესის წოდებას მეორედ დაეუფლა თბილისელი ელგუჯა კვიკვინია.

**● საქართველოს ჩემპიონატში პირველად მონაწილეობდნენ გურჯაანისა და სამტრედიის წარმომადგენლები. რას იტყვით მათ გამოსვლებზე?**

— ძნელია ორიოდე თვის წინ შექმნილი კოლექტივების მუშაობის ავ-კარგზე საუბარი. მიუხედავად ამისა, უკვე შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება. გურჯაანელმა მწვრთნელმა გია ქართველიშვილმა და სამტრედიელმა მწვრთნელმა ბარნაბ მიქელაძემ ამ მცირე დროშიც კი ხელი დაატყვეს შეგირდებს. აქვე მინდა შევაქო კასპელები. მათმა წარმომადგენელმა ალეკო დალაქიშვილმა (60 კგ წონითი კატეგორია) ვერცხლის მედალი მოიპოვა, თუმცა, ერთი წელიც არაა რაც იქ ათლეტიზმის ჯგუფი მოქმედებს. ეს მისი მწვრთნელის ნოდარ გოზალიშვილის დიდი გამარჯვებაა.

**● გეგმებზე რას გვეტყვით?**

— ჩვენი მთავარი შეჯიბრება, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, თებერვლის მეორე ნახევარში გაიმართება უკრაინის ქალაქ ჩერკასში. მოგახსენებთ, საქართველოს ნაკრები უმაღლეს ლიგაში გამოდის. გუნდის მთავარი მიზანი ლიგაში ადგილის განმტკიცებაა. ამას გარდა რამდენიმე ჩვენი ათლეტი იბრძოლებს საპრიზო ადგილებისთვის. დარჩენილ დროში მიზნის შესასრულებლად, გვჭირდება ნორმალური სავარჯიშო პირობები. იმედი გვაქვს, ჩვენი სპონსორები კვლავ მხარში ამოგვიდგებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზნის მიღწევა გაგვიჭირდება.

**კვარცხლბეკი.** სამჭიდის ჯამი. 52 კგ. ივანე ამონაშვილი (თბილისი, „ისანი") — 380 კგ; 56. მამუკა შენგელია (სიღნაღი) — 429; 60. ურჩა ქორიძე (თბილისი, „ისანი") — 512; 67,5. დავით მერაბიშვილი (სიღნაღი) — 645; 75. დავით ბეჟანიშვილი (თელავი) —575; 82,5. ბესიკ ღვინიაშვილი (სიღნაღი) — 660; 90. ალექსანდრე აბულაძე (თბილისი, „ისანი") — 727,5; 100. ელგუჯა კვიკვინია — 727,5; 110. რობერტ არაქელოვი (ორივე — თბილისი, უნივერსიტეტი) — 815; 125. შოთა ბეჟაშვილი (სიღნაღი) — 915; 125 კგ. ზევით. დავით კორახაშვილი (სიღნაღი) — 665.

გუნდური: 1. თბილისი, „ისანი"; 2. სიღნაღი; 3. თბილისი, უნივერსიტეტი (სამივე ნფსს „შევარდენი").

**ჯემალ კასრაძე.**



საქართველოს ათლეტთა ნაკრები გუნდი.

ავტორის ფოტო.

## დანაშაული და სასჯელი

**მართალია,** პროფესიული კალათბურთის წესები ფარქვეშ ძალისმიერ, კონტაქტურ ბრძოლას უშვებს, მაგრამ არბიტრები ყურადღებით ადევნებენ თვალს, რომ იგი აშკარა და დაუფარავ უხეშობაში არ გადაიზარდოს. და თუ რაიმე ექსცესი მოხდა, დაუნდობელი საკალათბურთო თემიდა მკაცრად სჯის დამნაშავეებს.

ასეთი შემთხვევა მოხდა ამ დღეებში, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ ნბა-ს ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „ნიუ-იორკ ნიქსი" და „სიეტლ სუპერსონიკი". მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, როცა ნიუიორკელთა გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა (118:97) ერთმანეთს შეეჯახნენ ჩარლზ ოკლი („ნიუ-იორკი") და ხავიერ მაკ-დანიელი („სიეტლი"). ატყდა ჩხუბი, რომელშიც ორივე მხარის წარმომადგენლები ჩაებნენ. აყალ-მაყალი ერთ წუთს გრძელდებოდა, მერე კი მსაჯებმა დააშოშმინეს მოჩხუბრები.

საკალათბურთო თემიდამ ეს ინციდენტი საკმაოდ მკაცრად შეაფასა: ჩხუბის წამომწყები კალათბურთელები 7,5-7,5 ათასი დოლარით დაჯარიმდნენ. დანარჩენ ცამეტ კალათბურთელს კი, რომლებიც სათადარიგოთა სკამიდან თვითნებურად წამოიჭრნენ, 500-500 დოლარი ჯარიმის გადახდა მოუწევთ.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 28 დეკემბერს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს სპორტსახკომი, ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს, სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი

**ნოდარ ქაიხოსროს ძე ბახუტაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-58,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„ერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10596